











## სინას მთაზე - ქართული საგანძურის კვალდაკვალ

ცნობილი ფოტოხელოვანი, უურნალისტი, მრავალი ილუსტრირებული წიგნისა და ალბომის ავტორი ბალი ვადაჭკორია გაზეთ „კლიტე დავითისის“ მეითველებს მოუთხრობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უმშინდესი და უნეტარესი ილია მეორის კურთხევით სინას მთაზე მისი და მწერლისა და უურნალისტის პაატა ნაცვლიშვილის სტუმრობის მეტად მნიშვნელოვანი მისის ეპიზოდებს.



კადრი ვადაჭკორია

2007 წლის 12 ოქტომბერს მიგვიწვიეს საპატრიარქოში, უმშინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან. იქ შევხვდი უცხოეთში მცხოვრებ დიდ ქართველს და მეცნატს, ოთარ მარლანიას. 25 დეკემბერს ჩვენი უმშინდესის აღსაყდრებიდან 30 წლის სრულდებოდა. მე და ოთარი ვფიქრობდით, რა საჩუქარი მიგვეძლენა უნმინდესისთვის საიუბილეო დღესთან დაკავშირდით.

გადავწყვიტეთ, შეგვედგინა მაღალპოლიგრაფიული წიგნი, რომელიც მოიცავს ქართული კულტურის ძეგლებს უცხოეთში, სახელწოდებით „ქართული სული“. წიგნში შევიტანეთ ხუთი ქვეყანა: ეგვიპტე, თურქეთი (ტაო-კლარჯეთი), ისრაელი, აზერბაიჯანი (საინგილო), ირანი (ფერეიდანი).

უმშინდესისგან მიიღოდა კურთხევა და პროექტი განსახორციელებლად პაატა ნაცვლიშვილთან ერთად წავედი ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულზე. პაატა, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი უურნალისტი და მწერალია, საიმედო მეგობარი და კარგი ადამიანიც გახლავთ.

უმშინდესისგან მიიღოდა კურთხევა და პროექტი განსახორციელებლად პაატა ნაცვლიშვილთან ერთად წავედი ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულზე. პაატა, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი უურნალისტი და მწერალია, საიმედო მეგობარი და კარგი ადამიანიც გახლავთ.

იქ დაცულია პირველი თარიღიანი ქართული ხელნაწერი - 864 წლის სინური მრავალთავი, რომელის ყდა მე-10 საუკუნის ქართული ჭედური

ხელოვნების ნიმუშია. სინას მთაზე ჩვენს წინაპრებს თავისი მონასტრებიც ჰქონდათ უმდიდრესი წიგნსაცავით, ხელნაწერთა ნუსხით. გამოყოფილი ჰქონდათ სამკითხველო დარბაზი, წიგნის გარეთ გატანა იკრძალებოდა. ზოგიერთ ქართულ წიგნს იმ მონასტრებშივე წერდნენ და აფორმებდნენ, ზოგიც პალესტინის ქართული კერძებიდან შეჰქონდათ.

წმინდა ეკატერინეს მონასტრებში შევხვდით სომხურ დელეგაციას, ათი დღე იდგნენ რიგში, მონასტრის წინამდღვრს, ეპისკოპოს დამიანეს რომ მიეღო. მე და პაატა კი კადნიერად მივეჭრით ეპისკოპოსს, ჩემი წიგნები მივართვით, და, რაც მთავარია, ჩვენი პატრიარქის გულთბილი მოკითხვაც გადავეცით. ეპისკოპოსმა ეს ყველაფერი



კადრი ვადაჭკორია სინას მთის საფეხურებზე

გულთან მიიტანა და მაშინვე დაგვაკავშირა მამა იუსტინეს, რომელსაც ეპარქა წიგნსაცავი.

მამა იუსტინემ სიყვარულით მიგვიღო, მოგვეფერა, გამოგვიტანა ქრონიკი საგანძურო და საშუალება მოგვცა, ფოტოები გადამეღო. ჩვენი უნმინდესის ლოცვა-კურთხევამ გაჭრა, დაუბრკოლებლად რომ მივეღით ხელნაწერებთან.

იმავე ღამით, თერთმეტ საათზე, გავემურეთ სინას მთის მწვერვალისაცენ. სინას მთაზე მისასვლელად 7,5 კილომეტრი უნდა იარო ფეხით, შეგიძლია სახედრით, ან აქლემითაც, ხოლო მთის წვერზე რომ ახვიდე, 740 საფეხურის ავლაც უნდა შეძლო, მხოლოდ ფეხით. ეს საფეხურები პირობითია, ზოგი დიდია, ზოგიც პატარა... 12 წევმბერი იყო, მე და პაატა მთელ ამ გზას (7.5 კილომეტრს და 740 საფეხურს) ფეხით შევეჭიდეთ. გამთენისას, 4-5 საათზე, ავედით მთის წვერზე, სადაც პატარა სამლოცველოა.

სინას მთაზე აისი არის ნამდვილი საოცრება, რამდენ ფერს იცვლის თითოეულ წამში! იქ მთელ მსოფლიოში შეუდარებელი აისია! მსგავსი სილამაზე არსად მინახავს, არცერთ ქვეყანასა და მხარეში, თვით ბახმაროშიც კი!

სინას მთიდან სხვა გზით ჩამოვედით, 3400 პირობითი საფეხური ჩამოვიარეთ. ჩვენმა პატრიარქმა თავის დროზე ეს გზა ფეხშიშველმა აიარა, ამ მხრივაც გახლდათ საინტერესო... პაატა ალპინისტია, ნავარჯიშევი. ჩემთვის კი 60 წლის ასაკში ამ გზის გავლა არ იყო იოლი. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ლირდა, აქაც უნმინდესის ლოცვა შემეწია. იმ დღეს პატრიარქის ლოცვის მადლი ცხადად ვიგრძენი. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი კველაზე უჩვეულო, საინტერესო ეპიზოდი.

და ბოლოს, ჩვენ შევძელით შეუძლებელი - ორთვესახევარში უნმინდესის საჩუქარი უკეთ მზად გვექნდა. 25 დეკემბერს ჩამოვიდა წიგნის პირველი 50 ეგზემპლარი სტამბულიდან, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული.



გამა იუსტინე ქართული ოთხთავით



პაატა ნაცვლიშვილი გამა იუსტინესთან

პროფესორმა გრივერ ფარულავამ სარულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორის აღსაყდრების 30-ე წლისთვის დღეებში, 2007 წლის, გაზეთ „კლიტე დავითისის“ რედაქციას ორი წერილი გადმოსცა.

პატრიარქისადმი მიძღვნილი ორი წერილიდან რედაქციამ გაზეთსა და შემდგომ გამოცემულ წიგნებში - „ვეკარისმიტვირთველი ქართველი ერის“ - ერთი წერილი დაბეჭდა. ამჟამად მეთხველებს ვოგზობრთ რედაქციის არქივში საგანგებოდ შენახულ მეორე წერილს.

თოთხმეტი წლის სინას ნანათ დაწერილ ნარკვეპში წარმოდგენილი მოსაზრებები, მოვლენათა ანალიზი და ავტორის თვალთხევდა დღევანდელ ვითარებაშიც მრავალმხრივ საყურადღებო, აქტუალური და მნიშვნელოვანია.

როცა ქართული მართლმადიდებელი ეკლესის დღევანდელმა საჭეთმპყრობელმა კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი ჩაიბარა, ეროვნულ ეკლესისა ჯოვანეთურ შეჭირვებათა საუკუნენახევარზე უფრო გრძელი გზა ჰქონდა გამოვლილი. ამის შესაბამისად, დამკრობილი და ნაჯიჯგნი იყო ერის სარწმუნოებრივი შევ-

ხელოვნების ნიმუშია. სინას მთაზე ჩვენს წინაპრებს თავისი მონასტრებიც ჰქონდათ უმდიდრესი წიგნსაცავით, ხელნაწერთა ნუსხით. გამოყოფილი ჰქონდათ სამკითხველო დარბაზი, წიგნის გარეთ გატანა იკრძალებოდა. ზოგიერთ ქართულ წიგნს იმ მონასტრებშივე წერდნენ და აფორმებდნენ, ზოგიც პალესტინის ქართული კერძებიდან შეჰქონდათ.

წმინდა ეკატერინეს მონასტრებში მდებარეობს სინას მთაზე ჩვენს წინაპრებს თავისი მონასტრებიც ჰქონდათ უმდიდრესი წიგნსაცავით, ხელნაწერთა ნუსხით. გამოყოფილი ჰქონდათ სამკითხველო დარბაზი, წიგნის გარეთ გატანა იკრძალებოდა. ზოგიერთ ქართულ წიგნს იმ მონასტრებშივე წერდნენ და აფორმებდნენ, ზოგიც პალესტინის ქართული კერძებიდან შეჰქონდათ.

წმინდა ეკატერინეს მონასტრებში მდებარეობს სინას მთაზე ჩვენს წინაპრებს თავისი მონასტრებიც ჰქონდათ უმდიდრესი წიგნსაცავით, ხელნაწერთა ნუსხით. გამოყოფილი ჰქონდათ სამკითხველო დარბაზი, წიგნის გარეთ გატანა იკრძალებოდა. ზოგიერთ ქართულ წიგნს იმ მონასტრებშივე წერდნენ და აფორმებდნენ, ზოგიც პალესტინის ქართული კერძებიდან შეჰქონდათ.

**„კლიტე დავითისის“ არქივიდან**

## ერის გამა

ნება. ვითარება დაახლოებით ასეთი იყო, რაგარის წინაშეც აღმოჩნდა წმინდა გრიგორ ხანცოტელი და საწყისში თავისი მოღვაწეობისა. აი, იმ ავჟამინანობის სურათი, იოანე საბანისძისი

მიერ დახატული: „ნა-შონი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს, რომელინიმე მდლავრებით, რომელინიმე შეტყუცილით, რომელინიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელინიმე მზაკუარებით...“ ასეთ ვითარებაში ღმერთმა, რომელიც „სიყვარული

არს“, მოუვლინა ჩვენს ქვეყანას მაშინ აპო ტფილელი და გრიგორ ხანცოტელი, ხოლო ამ ოცდაათი წლის წინა კათოლიკოს-პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოგვივლინა „მალხინებელად ცოდვათა ჩვენთანათა“. ამ მოგვივლინა მალხინებელად ცოდვათა ჩვენთანათა ჩვენთანათა ჩვენთანათა გამოვლილი და რა ხელენიფებოდა ეროვნულ ეკლესისა. „ლმრითამსახური მეფე აშოტ კურაპალატი“ მიმართავს წმინდა გრიგორ ხანცოტელს: „მეფეთა ისრაელისათა უამა-უამად ნინასწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ სჯულისა, და შესაწერებული მორწმუნებული და გამორწმ



დასაცუისი გვ. 5

სამხილებლად ურწმყნოთა. ეგრეთვე უამთა ჩუენთა შენქრისტიანეთა სიქადულად. და ზუენთვის". წმინდა გრიგოლი, მები და ბაგრატიონები ხელიხნენ ფუნდამენტს დამოუკიდერთველისი.

მისია ერთგვარი იყო, მაგრამ შეხვედრა სხვადასხვაგვარი. გრიგოლ ხანცელის უფლება ჰქონდა, როცა ამას ერის ინტერესები და ქუეყნის მესვეურთა სახელ-ლირსება მოითხოვდა, „ყურებიც კი აეწიათ“ ბაგრა-ტიონებისათვის. ეს უკანასკნელი კი თავმოძრევით ეგბებოდნენ „ზეცისა კაცისა და ქვეყნისა ანგელოზის“ მკაცრ მსჯავრსაც. ასეთი ხვედრი კი აღარ არგუნა არსთა გამრიგებ ჩვენი ეკლესის დღვევანდელ წინამძღვრლს. ხომ დიდი იმედისა და სიხარულის აღმძრეველია იმის ცქერა, რომ ასე თვალდათვალ და წრფელი გრძნობით მიუბრუნდა რწმენას ჩვენი საზოგადოების მოზრდილი ნაწილი, რომ დღითიდელ იხვეწება ლავთისმსახურება, მაგრამ ეს აგსულთა, ულმერობოთა გააფირებას ინვერს. ბნელეთის მოციქულთა ბნელ იარაღს აგერ 30 წელია დიდ რწმენასა და სიყვარულს, იმედსა და თვალისმომჭრელ სულიერ სინათლეს ახვედრებს ფარად კათოლიკოს-პატრიარქი. იგი მხედარია, „წმინდა მხედარი“. ეკლესის დედაბორია დეგას, ერის სასთუმალთანა მუსლინაზრილი. ვითარცა მკურნალი და გულდამწვარი ჭირისუფალი. და როდესაც საქართველოს ცის დასალიერთან ღრუბლის ნაფლეთი გამოჩინდება, პირველი შეიმართება მის გასაფანტავად.

კათოლიკოს-პატრიარქი, ვითარცა დაუცადებელი  
ქომაგი ჩვენი ეთნო-ფსიქოლოგიური თვითმყოფობისა,  
კარგა ხანია ებრძვის „შინაგანი სისუსტისა და მიმბა-  
ძველობის“ სენს, რომელსაც საქართველოს მტრები  
გლობალიზაციისა და ინტეგრაციის სახელით თესავენ  
ჩვენს მინაზე. „ის, რომ ჩვენ დღემდე მოვალნიერ ჩვენი  
ცხოვრების წესითა და ტრადიციებით, ჩვენი წინაპრე-  
ბის ღვთისსათნო არჩევანის შედეგია“, - გვმოძლვრავს  
კათოლიკოს-პატრიარქი. ამ არჩევანში იგულისხმება  
თანამგრძნობელი დამოკიდებულება მოციქულთა ქა-  
დაგებისადმი, რაც მეოთხე საუკუნის ოცდაათიან  
წლებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გა-  
მოცხადებით დაგვირგვინდა. ამგვარი თვალთახედვა  
VIII საუკუნიდან მოდის. იოვანე საპანისძე განმარტავს:  
ქართველთა უკეთესმა ნაწილმა ღვთისა და სამშობ-  
ლოს სიყვარული შეინარჩუნა „ქრისტეს სიყვარული-  
თა და შიშითა, ჩვეულებისამებრ მამულისა სლვისა“  
მიდევნების კვალიბაზე. ხოლო დავით აღმაშენებლის  
ისტორიკოსი „მამურ-პაპურ კვალთა სვლას“ სახავს იმ-  
უამინდელი საქართველოს სიძლიერის წყაროდ. მეცხ-  
რამეტე საუკუნეში ამ სიბრძნეს ილია მართალი ქომა-  
გობდა გამოირჩეული შთაგორებით.

„ღმერთი, სამშობლო, მოყვასი - ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; ღვთის რწმენა ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს“, - განგვიმარტვას ქართული ეკლესიის საჭირობელი და ამით წმინდა წერილის უღრმეს, უსათუთესპირაციებს გვინათებს, თანაც ახალი დროის იმ ანომალიერზე მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას, რომლებსაც ამ იერარქიის „ერთმანეთისაგან გამომდინარებისა“ და „ჯაჭვის უწყვეტობის“ შეუგნებლობა ბადებს: „თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ დაიკავა, შედეგად ვიღებთ ისეთ მანერე გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოვინიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას - კოსმოპოლიტიზმს“. (ამ უკანასკნელის უახლესი ვარიანტია გაუკულმართებული ტრანსფორმაცია გლობალიზაციის (კუნძისა).

„ერთმანეთისგან გამომდინარე ამ იერარქიისა“ და ამ „ჯაჭვის უწყვეტობის“ უგულებელყოფაზე გოდებდა ილია ჭავჭავაძე 1859 წელს „აჩრდილის“ ფურცლებზე. ქართველობას

„დაპირისპერია, რომ ქვეყნად ცასა  
ლეთად მოუცვია მარტო მამული;  
დაპირისპერია, რომ დიდი არი  
ლეთისა წინაშე იგი ცხოვრება,  
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარ  
ქვეყნასასავე შეენირება“.

შმინდა ილია მართალი ლოგიკურად ანვითარებს ამ სამის უწყვეტობის, განუყოფლობის თვალსაზრისს და პოემის შემდგომ მონაკვეთებში (თ. IX, XI, XVI) განგვიმარტავს, რომ ღვთის ტრიულების წმინდა წერილისეული მადლის ძალით მამულის სიყვარულამდე აღტაცებულ ადამიანს („მცნების ნათლით ზეალზიდულს, ამაღლებულს“) ფრთხი ესხმება მოყვასის თანადგომისათვის, ქველმოქმედებისათვის:

„გადასდგომიხართ თქვენს ქართველობას,

დაგინგრევიათ დიდი მამული, -

რაღა დაპერადავს თქვენში დიდ გრძნობას? რითი ალტკინდეს ქველისთვის გული?"

რომ რელიგიური უნივერსალიზმი კი არ აუქმებს, არამედ წარმავალს უმაღლეს აზრთან მარადისობას-თან ხდის ნიღნაყარს, რომ ეროვნულ - განუმეო-რებელსა და პიროვნულ - ინდივიდუალურში სიცოცხ-ლისეული უშუალობით განიცდება ფეთქვა მარადისო-ბისა, ამას ეკლესიის მამათა (ბასილი დიდი, გრიგოლ ნისელი, მაქსიმე აღმსარებელი, გრიგოლ პალამა) შემდგომ ახალი დროის ფილოსოფიური ნააზრევიც გვაუწყებს. დიდი რუსი ფილოსოფოვანი ვლადიმერ სალავიოვი ამბობს: „სწორედ ებრაელი წინასწარმ-

ეტყველი იყვნენ უდიდესი პატრიოტები... მაგალითო  
ებრაელ წინასწარმეტყველთა, უდიდეს პატრიოტთა  
და ამასთანავე უნივერსალიზმის უდიდეს წარმომად-  
გენელთა, უაღრესად ბევრის მასწავლებელია ჩვენთ-  
ვის. იგი მიგვითოთებს, რომ თუ ჭეშმარიტი პატრიო-  
ტიზმი აუცილებლად თავისუფალი უნდა იყოს ხალხის  
გამორჩეულობისა და ეგოიზმისაგან, იმავდროულად  
და იმავე მიზეზით, ზოგადსაკაცობრიო თვალთახედ-  
ვა, ჭეშმარიტი უნივერსალიზმი იმისათვის, რათა იყოს  
ფასული, ჰქონდეს ნამდვილი ძალა და დადებითი ში-  
ნაარსი, გარდაუვლად უნდა მოგვევლინოს დადებითი  
სახალხო იდეის გაფართოებად და უნივერსალიზაციად  
და არა ცარიელ და განურჩეველ კოსმოპოლიტიზმად".

ქრესტიანობის მიერ გავიმეორებთ,  
თუ ვიტყვით, რომ უზენაესთან სიახლოვის განცდაა  
რელიგიური ცნობიერების ძალმოსილების განმსაზ-  
ღვრელი. ასე შევავსებდით ამ აზრი: ამ სიახლოვეს  
კი ყველაზე ბუნებრივად და ძალუმად სამშობლოში  
აღწევს ადამიანი, როცა ეგოიზმის არტახებისაგან  
თავდაღწეული, მოყვასის უანგარო და უშურველ სამ-  
სახურში გრძნობს ღვთაებრივის იდუმალსა და სანე-  
ტარო ფეთქვას საკუთარ მკერდქვეშ.

მოვაუშმინოთ ჩვენი დროის ცნობილი ფრანგ ბიბლიი-ისტს პიერ გრელის: „ეკლესია არ აუქმებს ადამიანების ფეხვეულ მიმართებას მინიერი მამულისადმი, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს ზოგიერთი თანამედროვე იდეოლოგი. სამშობლოს სიყვარული ადამიანებისათვის ყოველთვის იქნება მოვალეობად, გაგრძელებად ოჯახის სიყვარულისა. ქრისტეს სუვარდა თავისი სამშობლო მთელი გულით, მიუხედავად იმისა, რომ მისი (მაცხოვრის) მისია მისი მამულისათვის იყო მიზეზი ახალი ტრაგედიისა“. რწმენით უნდა იყოს განაყოფიერებული მართლმორწმუნე ქრისტიანის დამოკიდებულება მამულისადმი და „მინის იმ ნაგლეჯის მიღმა, სადაც იგი დაკვიდორებულა თავის ახლობლებთან ერთად, უნდა სჭრეტდეს ახალ სამშობლოს, სადაც მათთან ერთად იცხოვრებს იგი მარადეამს“. ეს ხომ ნიშნავს, რომ მარადეამეულს, უნივერსალურს ისე ვერ მივადგამო კიბეს, თუ ეს ერთობ მაღლალი კიბე, კარგად გამაგრებულ, მტკიცე ფუნდამენტს ( მამულისა და მოყვასის სიყვარულს) არ დაიყრდნო.

კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც, ილია მართლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სარწმუნოებას ამეცნიერებს და მეცნიერებას ასარწმუნოებს“, ამ ორი მადლის გზადშესაყარიდან გვწვრთნის: „ როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე ყოველ ერს, ღვთის განგებულებით, გარკვეული მისია აკისრია. ადამიანმაც და ერმაც უნდა გააცნობიეროს თავისი უმთავრესი დანიშნულება და უნდა ემსახუროს მას. ქართველი ადამიანი დაჯილდოებულია სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭით... მოყვასისთვის სიყვარული და თავდადება ქართველი კაცის ცხოვრების წესად იქცა და, ბუნებრივია, მისი საახლობლო წრე მეტად ფართოა. იგი მოიცავს სისხლისმიერ და ნათელმირონობით ნათესაობას, მეჯვარეობას, მოყვრობას, მოგვარეობას, მეზობლობას, მეგობრობას და სხვა. ასეთი ურთიერთობა უნიკალურია როგორც ქრისტიანულ სამყაროში, „ასე მთელ მსოფლიოში“.

ეგებ ზედმეტიც იყოს იმის აღნიშვნა, რომ ეს არ არის კაზმული სიტყვა ან პათეტიკა. ეს სიქადულია ერის ჭირისუფლისა, სჯაა გულმხურვალე ლოცვითა და სიმდაბლით გასპეტაკებული ლვთისმოსავისა. ბუნებასა და ბუნებრივზე ამაღლებით ასეთ შემთხვევაში დრო-სივრცული სამანების გადამლახველი შინაგანი მზერა იხსნება. ასეთი მზერით მოხელთებულ ჭეშმარიტებას, ქართველთა ქართველობის დევიტად თუ პასპორტად არსთა გამრიგისგან განჩინებულს, ჩვენი ერის ისტო-რიაში მრავალგზისად გაცხადებულს, მაგრამ დღეს მინავლებულს, გვიცოცხლებს კათოლიკოს-პატრიარქი. აქ იმგვარივე განცდაა გამხელილი, რაგვარიც ილია ჭავჭავაძის ამ სტრიქონებში: „... და ქართველობა სიე-დულად როდის ექნება ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვ-

ლის ერთგულსა შვილსა?

უფალს თურმე ქართველი კაცი „ სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭით დაუჯილდობისა“, ამ ნიჭის სამსახურია ყველა ჩვენგანისა და ჩვენი ერის მისია. წმინდა ილია მართალიც გვწვრთნიდა: „რა შეგვინახ-ავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს, ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რით და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულ წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახ-იან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენი ცხოვრების საძირკვ-ელში მაგარი ქვა არ ჩაედგა... უსიყვარულო სახელმ-წიფო ფულუროა, ერთი ლაზათიანი ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია“.

ხოლო ამ 30 წლის წინათ გურამ ასათავანი ამბობდა: „ქართული ხასიათის „წინა მხარე მეგობრობის, „ნათეს-აობის“ უმძაფრესი მოთხოვნილებაა, განდობის, სული-ერი თანაზიარობის წყურევილი... ბუნებამ და შემდეგ ქრისტე მცნებამ შემწყნარებლობას ღრმად გაუდგა ფესვი ჩვენს სულიერ სამკვიდრებელში... ქართული ხასიათი უფრო მპატიებლობისაკენ იხრება. ასე რომ არ იყოს, დიდი ხნის წინათ ამოვწყვდებოდით სისხლში ბალლამის ჩაქცევისაგან“.

გურამ ასათიანის მსჯელობის ბოლო ფრაზა კარგა  
ხნის წინათ ნაფიქრს გვახსენებს; უთუოდ „დიდი ხნის  
წინათ ამოვნებდებოდით“, როგორც, მაგალითად, ოდენ  
შეშველი ფიზიკური ძალით ისტორიის აკანსცენაზე  
მოყელყელავე ყივჩალები და ხაზარები (და არა მხ-  
ოლოდ ისინი) ჩავიდნენ ამ სცენიდან და, საერთოდ,  
გაქრნენ.

რომ სიყვარულის, თანადგომის, ტოლერანტობის, სტუმარ-მასპინძლობის გამორჩეული ნიჭი ნიშნულია ქართველთათვის, ეს უცხოელებსაც აღუნიშნავთ (არქ. ლამბერტი, ალ.დოიუმა, კასტელი). დონ კრისტოფორი დე კასტელი, რომელმაც საქართველო მოიხილა XVII საუკუნეში, აღფრთოვანების კილოთი ჰყვება სიყვარულის ამ ნიჭის შესახებ: უხვად რომ მასაჩუქრებენ, ეს უნდა გამომდინარეობდეს მათი (ქართველების) კეთილი ბუნებიდან და გულუხვობიდან. როდესაც გაიცნობენ კაცს, თუ ის კეთილმოქმედია, მას კველაფერს აძლევენ, რასაც კი მოისურვებს, თავიანთი გულის მფლობელად გახდიან და ძალიან სწუხან, თუ რომელიმე მათგანი წავა“. ავთანდილის ფენომენიც („ვეფხ-ისტყაოსანი“) კი იქმარებდა დასტურად თქმულისა.

ერის მაბა დღეყოველ შეგვახსენებს, რომ ამ დღიდ  
ძღვენს სიყვარულისა მოვლა-პატრონობა, აღზრდა  
უნდა და თუ უფრო არ გამოვიდეთ ხელი განათლების,  
მეცნიერების, ხელოვნების, საერთოდ, კულტურის  
დაწინაურებისათვის გლობალისტური უსახურობის  
ოკეანეში გავითქვიფებით: „ერთა თვთმყოფადობის  
უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალიდა  
რჩება, რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში  
თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომი-  
კური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ  
მნიშვნელობას“.

ხოლო კულტურა, როგორც დაბეჭითებით მიუთითებენ, დარგი კი არ არის ადამიანური ცხოვრებისა, არამედ მთავარი ფუნქცია, უზენაესო-საგან ადამიანებში ჩათვისილ შესაძლებლობათა რე-ალიზაციაა იგი. ეროვნული კულტურა, როგორც ის-ტორიული ფენომენი, ეროვნული ისტორიის სურათში ირყელება, „ვითარცა სახე, ვითარცა მსგავსება“, - ამ-ბობდა ოსვალდ შპენგლერი. იგულისხმება ადამიანის, ვითარცა ღვთაებრივი შემოქმედების გვირგვინის, ხატობა და მსგავსება შემოქმედთან. ხოლო ეს უნარი, პოტენციალი ხორცს ისხამს კულტურის ფორმებად: ეკლესიური ცხოვრება, ენა, მითოსი, ხელოვნება, ის-ტორია, მეცნიერება, განათლება და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, „რელიგია სუბსტანციაა (არსია, ფუძე) კულტურისა, კულტურა ფორმაა რელიგიისა“ (პაულ ტიოლიხი), და არსის, საჯუბავოს (რწმინის, რომიგირი)

ცნობიერების, და ასეთი, საკუსტობის (რესერვის, აუგისტის) ცნობიერების) ზემოქმედებით ადამიანი მშვინიერისა და კეთილის შინაარსით უნდა ასულიერებდეს ყოველ-დღიური ხორციელი ცხოვრების, ყოფითი სინამდვილის ყოველგვარ ფაქტს. რელიგიური ცნობიერებიდან წამოსული ამ პიძგის ზემოქმედება ძალიან ადრე უგრძენია ქართველთა მოდგმას და ხორციელი ცხოვრების ისეთი (თავისთავად ტლანქ) გამოვლინება, როგორიცაა კვება, სულიერებით გაუშინაარსებია. ქართული სუფრის „არსი მთლიანად ქრისტიანულია და გამორიცხავს როგორც თრობას, ისე დღეს არსებულ სხვა მანკიერ გამოვლინებებს. სადღეგრძელოთა შინაარსი და ტრადიციული თანმიმდევრობა ინტება უფლის სადიდებლით და მთავრდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სხენებით. ამასთან ყოველი სადღეგრძელო დაღლოცვაა, ლოცვის ერთგვარი სახეა. ქართული სუფრის სულიერ

ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველთვის ხდება გარდაცვლილთა მოხსენიერა. ქრისტიანული სუფრა არის ადამიანთა ერთობისა და თანადგომის, ჭირისა და ლინის გაზიარების ადგილი, სადაც უფალი მყოფობს. ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი”, - განვიმარტავს უწმინდესი და უნეტარესი. ხოლო გრიგოლ რობაქიძე იტყვის: „ქართული ნადიმი ქეიფი კი არა, კულტია“.

ახლა კი უცხოელებს მოვუსმინოთ: გიორგი გაჩერები, ცნობილი რუსი ლიტერატორი, მ. ბათტინის ნიჭიერი მოწაფე, ამბობს: „ ის, რაც ქართულ ნადიმზე ხდება, ნაყოვანება არ გეონოთ: ის ეროვნული ლიტურგიაა, საოჯახო ტაძარი. თამადა მღვდელმთავარია. აქ ხდება საიდუმლო გარდასახვა მატერიისა სულად, ლოგოსად - სიტყვებით, საუცხოო სიტყვებით... თამა-დიზმში „ცისკრის“ ევქარისტია ხდება: სუფრასთან მა-ტერია განუწყვეტლივ ესწრაფვის გასულიერებას, ცის კარიბჭე იხსნება“.

გერმანელი ეთნოგრაფი პელგა ქოთჰოფი თავის სადისერტაციო ნაშრომში მიუთითებს: „თამადაზრუნავს იმისათვის, რათა ყოველი ყლუპი ლვინის შესმა თაყვანისცემის უესტს დაემსგავსოს. მამაკაცურობის ატრიბუტად მიჩრევა ისიც, რომ ლვინის სმა სახელოვნებო სტიმულაციისათვის განთავისუფლებული აზრის (იგულისხმება თავისუფლება ხორციელი მოთხოვნილებების დიქტატისაგან. გ.ფ.) სუბლიმაციისათვის გამოიყენო. ალკოჰოლის გონიერ მოხმარებას განმარტავენ როგორც კრიტერიუმს, რომელიც ქართველთა მაღალ მორალურ ღირსებას ადასტურებს.“

როგორც ვხედავთ, უცხოელებსაც შეუმჩნევიათ, ისინიც მოხიბლულან ქართული ჯიშისა თუ მოდგმის სულიერი ცხოვრების წიაღში საუკუნეების წინათ თავ-ჩენილი ლირსებებით. ხოლო შვილების დღევანდელი შეჭირვებული მდგომარეობით გულდამწვარი მამა ერისა კი სასოებით ეძიებს, ჩხრეკს და საუკუნეთა სილრმიდან ამოზიდავს სულიერ ლირსებათა მრავ-ლისმეტყველ ზოდებს, მტვერს და ჟანგს გადააცლის მათ, რათა იმედით აგვავსოს, ალორძინების ძალისხმე-ვა გაგვიღვიძოს. დღემუდამ ასე გვეხმიანება: „წყალნი წავლენ და წმოვლენ, ჭეშმარიტება დარჩებაო!..“ „ ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციისაო!..“ „ გაჭირვე-ბამ არ უნდა შეგვაშინოს და სასოება არ უნდა დაგ-

ვაკარგვინოსო!..“ მეხთატეხის ყოველ მოახლოვებაზე ჩაგვესმის ეს ხმა, იმ კაცის გულის საძირკველიდან მოწყვეტილი, რომელიც ვითარცა „ მუხა, პირველი მექს ეგებება“ (ცისაც კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებებისათვის მიუყურადებია, შეამჩნევდა, რომ მისი ხმის ტონალობა თავისი ბურია; თითქოს ყელისმიერი სახმო სიმები კი არ ჟღერებ, სადღაც მკერდის სიღრმიდან იძრიან ბგერები, გულის ხმიერებას ვუსმენთ). ჯვარაკმულის სულთან მიახლოების, მხედრობა-

კუპარის ცენტრის მუზეუმის მიერთვის, მაგრამ გმირობის ხმაა ის. ხომ გვასწავლის წმინდა იღოვა

გირისონი სახა ე. ზო გვარებულები ითიადა იღება  
მართალი: „გმირობა, რა სახისაც უნდა იყოს, სულის  
ღონება და არა ხორცისა“ . „ნუ გეშინინ, რამეთუ მე  
მიძღვიეს სოფელსა“, - ღალადებს მაცხოვარი. „არ  
არსებობს არაფერი საშიში, გარდა შიშისა“, - ამბობს  
სენეკა. მას კვერს უკრავს ეპიქტეტი: „საშიში სიკვდი-  
ლი და შეჭირვებანი კი არაა, არამედ შიში სიკვდილისა  
და შეჭირვებათა წინაშე“. უშიშრად დგას ერის მამა  
შეჭირვებათა პირისპირ, სამწყსოს სასთუმალთან დგასა  
მის მაჯისცემას მიყურადებული. გვგონია, რომ ილია  
მეორის ღვანწლის პათოსი წილანაყარია წმინდა ილია

„შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ  
სულგანაბული,

„განვაშის ზარს მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქი ტეხესომ“, ბრძანებდა ამას წინათ აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი.

ახალი დიდი საფრთხეისა და მხედრობა-გმირობის ახალი ასპარეზის რაობას გვირკვევს საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი: ტელევიზიზიამ, მობილურმა კაგშირგაბმულობამ, კომპიუტერმა და ინტერნეტმა თვალსაჩინოდ შეკვეცა დღო და მანძილი; ეკონომიკური საქმიანობაც აღარაა შემოსაზღვრული მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები. რომელთაც ძირითადად საკუთარი მიზნები ამოძრავებთ; მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესი... გლობალისტური უსახურობის წარმართველი კონკრეტული ძალა თვითმესა არა ჩანს. მარავად იმ წარმოებათ არა აღმოშენება.

თითქოს ამც ჩასა , გაგრაზ იგი ხაძღვილად აოსეოის  
და აკეთებს თავისი კაქმეს, ცრუ თავისუფლებისა და  
ხორციელ სიამოვნებათა თაყვანისცემას ამკვიდრებს;  
ფუსვდო-კულტურის იმპორტით, მასმედიის საშუ-

ალებებით (სერიალებით, მდარე ტელეპროდუქციით) იქრიში მიაქვთ ხალხის ცნობიერებაზე, რათა „მათში დაინტერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლიმზედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლას და გადაგვარებას. უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩვენგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად, ან, თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაცველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას. ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორიც ჩვენს მამა-პაპათ გამოიულიათ... გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა მოგებულია. უფალი ბრძანებს: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (იოანე, 16,33). მაში, იბრძოლეთ ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და ოქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი“.

უნმინდესო და უნეტარესო! თქვენ ამ ომის  
შუაგულში დგახართ და თანამებრძოლებად გვიხმობთ.  
დგახართ და ქარტეხილებს მამაცურად იგერიებთ  
„შეუშფოთებელ და მძლავრ რტოებით“. თქვენი დიდი  
რწმენა თქვენს სიმამაცეს სიპრძით ანაყოფიერებს,  
ხოლო ჩვენს გულებს მზედ მიაფენს ავჟამიანობისაგან  
ლონემიხდილ სასოფბას. ყოველდღიური მუხლჩაუხრე-  
ლი ღვწით თქვენ ამ სიპრძეს ანსახიერებთ, რომ „რწ-  
მენა - ეს არის მდგომარეობა, როცა თვით ყოფნის  
ძალით ვართ ავსებულნი. ყოფნის სიმამაცე რწმენის  
გამოხატულებაა“ (პ.ტილიხი). თქვენი გულოვანება  
წუთისოფლის ბინდისგვარობის განცდას უქარწყლებს  
თქვენს სამწყსოს, ხოლო თქვენი ყოფნა დიდი საუნჯის  
მქონებლად დააგულვებინებს თავს. „უღონობა ქვეყნი-  
სა მარტო უფულობა და უქონლობა კი არ არის, რო-  
გორც ეხლა ბევრს ჰგონია, არამედ უფრო ისაა, როცა  
სათხოებანი, კეთილ-მოქმედი, მაღალ-ზნეობიანი კაცი  
არა ჰყავს“, - გვწვრთნის წმიდა ილია მართალი.

მადლობა უფალს, ჩვენ არა ვართ უღონონი, რაკი თქვენ ჩვენთანა ხართ, ხოლო ჩვენ - თქვენთან, სა-სოებით მზირალი თქვენკენ. „გვიხარის - გიმზერთ, ვწუხვართ - და გიმზერთ.“

გრივერ ფარულავა  
2007 წელი.

# საქართველოს მთავრობის

**დანიელ წინასწარმეტყველის მიერ განჭვრეტილი «ძუელი დღეთა» და მასთან  
დაკავშირებული საეკლესიო ეგზიგეტიკა**

ბაბილონის იმპერიაში მოღვაწე დიდი იუდეველი  
წინასწარმეტყველის, დანიელის, წიგნის მეშვიდე თავში  
იდუმალებით მოცული გამოცხადებაა გადმოცემული,  
რომლის შინაარსი ასე შეჯამდება: ხესნებულმა მოსაგრემ  
იხილა ზღვა, საიდანაც ერთმანეთის თანმიმდევრობით  
ოთხი ცხოველი ამოვიდა. პირველი ლომს ჰეგავდა და  
ორბის ფრთხები ჰქონდა. მეორე დათვის გარეგნობის  
იყო. მესამე - ვეფხვის მსგავსი, ოთხი ფრთითა და ოთხი  
თავით (შდრ. დან. 7. 1-6). ამის შემდეგ მეოთხე არსება  
გამოჩნდა, რომელიც ვერაფერს მიამსგავსა წინასწარმეტყველმა. ცხოველის თავზე ათი რქა ჩანდა. მოგვანებით  
ერთი მომცრო რქა ამოიზარდა, რომელმაც სამი რქა  
ამოაგდო. პატარა რქას თვალები და ამპარტაცნულად მეტყველი ბაგები ჰქონდა (შდრ. დან. 7. 7-8). დანიელმა  
იხილა, რომ ზეცაში საყდარი დაიდგა, რომელზეც ძველი  
დღეთა (შდრ. „ძუელი იგი დღეთა“; შეპტ. **παλαιός μερῶν**)  
დაპრძანდა. მისი სამოსი თოვლივით თეთრი იყო, თმები  
- სპეტაკი, საყდარი - ცეცხლის ალის, საყდრის ბორბლები - ასევე ცეცხლის. დღეებით ძველს ანგელოზთა  
სიმრავლე ემსახურებოდა, ხოლო მის ნინ უზარმაზარი  
ცეცხლოვანი მდინარე მიეღინებოდა. მეოთხე ცხოველი,  
რომლის თავზე რქები იყო ამოზრდილი, მოკლა, მისი  
სხეული კი ცეცხლის მდინარეში ჩაგდეს. ამასთან, ცის  
ღრუბლებზე გამოჩნდა იდუმალებით მოცული ცოცხალი  
არსება, რომლის გარეგნობა იყო, როგორც ძე კაცისა  
(შდრ. [დან. 7.13]: „აპა, ღრუბელთა თანა ცისათა, ვითარცა ძე კაცისა მომავალი“; Sept. „ბის მეტ თავ ვეფელში  
თ იორაშ ას ჸის (ზრბპის : ძემინიჭ v). დღეებით ძველთან  
მივიდა იგი და ხელმწიფება, დღეება და ძალაუფლება მიიღო  
მისგან და ყველა სამეფო, ტომი თუ ხალხი დაეკვემდებარა, ხოლო  
თავად მისი სამეფო საუკუნო ძლიერებამ

განმსქვალა. დანიელის მიერ ნანახი გამოცხადება აპოკალიპტური შინაარსისაა და მასში გადმოცემული სწავლების სრული მასშტაბებით გასააზრებლად შესაბამისი საკულტო განმარტებების საფუძვლანი შესწავლა არის საჭირო, რაც ნინამდებარე პუბლიკაციის მიზანდასახულობას ცდება. ამიტომაც მხოლოდ ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხით შემოვიფარგლებით და ასეთ შეკითხვას დაგს-ვამთ: ვინ მოიაზრება ნინასწარმეტყველის მიერ განჭრებილ «დღეებით ძეველში», რომელმაც «ეს კაცისა» გადასაცავით?

შატბერძის კრებულში დაცული წმინდა პოლიტერმაქლის განმარტების თანახმად, მასში მამის ჰიპოსტასი იგულისხმება. აი, შესაბამისი ადგილი: „... იტყვს დანიელ: «ვებედევ ჩუღუნებასა დამისასა, და აპა ღრუტელთა თანა ცისათა ვითარცა ძც კაცისა მომავალი, და მოინია დაძულებულისამდე დღეთასა. და მას მიეცა წელმზიფებაა და პატივი და უფლებაა, და ყოველი ერნი, ტომნი და ენად-ენადნი ჰმონებდეს მას; სულევად მისი სუფევა უუნისამდე და უფლებაა მისი არა განირყუნეს» (შდრ. დან. 7. 13-14). წელმზიფება იგი ყოველი, რამეთუ მამისა მიერ მოცემულ არს ძესა ზედა გვჩუნა, რომელ იგი ზეცათა და ქუეყანისა და ქუესკნელთა მეუფე არს და მსაჯულ ყოველთავე: ზეცათა, ამით რამეთუ სიტყუა გულისაგან მამისა წინა სწარ ყოველთასა იყო; და ქუეყანისათა, რამეთუ კაცად

„ნეტარისა იპოლიტეს თქუმული აღსასრულისათვეს ჟამთაღსა, თქუმული წიგნთაგან წმიდათა ქრისტესთვეს და ანტიქრისტისთვეს“, გვ. 277).

ნარმდეგენილ ეგზეგეტიკაში ხატოვანი ფორმითაა მოძღვრება გადმოცემული (რაც თავის მხრივ, სახარები-სეულ სნავლებას ეფუძნება; შდრ. ოან. 3.35; ოან. 13.3) და, რომაელი მოლვანის თქმით, «**ძველი დღეთა**» მამის ჰიპოსტასის საიდუმლოს ასაჩინოებს, რომელმაც ყოვლად-წმინდა სამების მეორე ჰირის განკაცებისას ძეს («**ძე კაცი-სას**») გადასცა ზეცის, ქვეყანისა და ქვეყნელის მუსფება. ამდენად, წმინდა იძოლიტეს დამოწმებული განმარტების მიხედვით, იუდეველი წინასწარმეტყველის მიერ დანახული «**ძეელი დღეთა**» მამის ჰიპოსტასის იდუმალებას გაამხეოს.

იმავეს გვამცნობს სინურ მრავალთავში დაცული წმინდა ეპიფანე კვიპრელის ერთ-ერთი ჰომილია: „დანიელ იხილა ძუელი იგი დღეთა. ესე — ჩუენება მამისა“ (სინური მრავალთავი 864 წლისა, სასატამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასა-იტყვაობით და გამოკვლეულით, თბილისი, 1959, „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეტყვანე კვპრელ მთავარებისკოპოსისა, რომელი კოსტანტინეს დედაქა-ლაქისა ინამა სარწმუნოებისათვს, წმიდისა მარადის ქა-ლწულისა მარიამისთვს, რამეთუ ამისგან ჭორციელ იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, მც ღმრთისა“, გვ. 47).

ვფიქრობთ, კვიპრელი მღვდელთმთავრის დამოწმებულ ციტატას კომენტარი არ სჭირდება, რადგან აზრი მკაფიოდ და ორაზროვნების გარეშეა გამოთქმული: დანიელის მიერ დანახული «ძუელი დღეთა», მსგავსად წმინდა იპოლიტე რომაელის ზემორე განამრტებისა, მამის პირის გამოცხადება.



დასაცუისი გვ. 7

საქართველოს გვ. 7 მოცულებულ ძეგლის გვადა  
საქმე ისაა, რომ წმინდა წერ-  
ილისა თუ საეკლესიო რჯულდების თანახმად, ყველა  
ძეგლაღლთქმისეული თეოფანიისას მართალ მოღვაწეებს  
მხოლოდ და მხოლოდ ის ჰიპოსტასი წარმოუჩნდებოდა,  
რომლის მიერაც ერთარსი ღმერთის სამგვამოვნებას  
შეიმძეცნებდნენ ქრისტეშობამდელი მოსაგრენი. აღნიშ-  
ნული მოღვაწეება კი, თავის თავად ცხადია, წნააღმდე-  
გობაში მოდის წმინდა იპოლიტე რომაელისა და ლირსი  
ეპიფანე კვიპრელის ზემოდამონმებულ სწავლებებთან,  
რომლებშიც ცხადად და ერთმიშოვნელოვნდაა მითითე-  
ბული დანიელის მიერ მამის ჰირის განჭვრეტის შესახებ  
სწავლება.

საკითხის არსში გარკვევის მიზნით ეკლესიის სახელ-  
განთქმული მოძღვრის, ღირსი ათანასე ალექსანდრიელის  
შესაბამის განმარტებას წარმოვადგენთ. აი, რას პრძანებს  
ის დაწინელის წიგნის იმავე ადგილის კომენტირებისას:  
„ვითარცა იგი ხურომან პოვის ნივთი, უსა მარ სად და  
უმჯობ სად ჭურჭლად შექმნის იგი, ეგრეცა ქრისტემან  
პოვა ქალწულისავ მის სული და გუამი წმიდა და სული-  
ერი, თავისა შექმნა მისგან ტაძარი, ვითარცა უნდა მას,  
დაჰპარადა კაცი ქალწულსა მას შინა, შეიმოსა იგი და დღეს  
გამოვიდა. ... ან რა -მე ვთქუა, ანუ რასა-მე ვიტყოდი?  
განმარტობს მე საკ რველება ესე: ძუელი იგი დღეთა,  
დაუსაბამო დღეს იშვების ყრმად; რომელ საყდართა ზედა  
აღმაღლებულთა და აღმატებულთა მჯდომარე არს, ბაგასა  
შინა დაინვინა; წელ შეუხებელი იგი და წრფელი და უსხე-  
ულო კაცობრივითა წელითა წარიგრაგნა; რომელმან-იგი  
ცოდვისა საკრველი განხეთქნა, სახუევლითა შეხუეულ  
არს“ (სინური მრავალთავი, „საკითხავნი წმიდისა ქრისტეს  
შობისანი, თქმული წმიდისა ათანასე ალექსანდრელი  
მთავარებისკოპოსისა, ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი  
იესუ ქრისტე და რამეთუ ღმრთისმშობელი მარადის  
ქალწული მარიამ და რომელი იშვა მისგან ღმერთი და  
იგივე კაცი“, გვ. 33).

ნმინდა ათანასე დიდი სრულიად მკაფიოდ გვამცობს,  
რომ «დღებით ძველი» არა გამოს, არამედ სწორედ და მხ-  
ოლოდ ძელმერთის ჰიპოსტასის იდუმალებას გაგვიმზელს  
და ხილვაში განჭერეტილი გარეების (მოხუცებულობა)  
მისი (ძის) დაუსაბამობის წარმომჩენია.

ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ ლირსმა ათანას-ებ დანიელ წინასწარმეტყველის მიერ დანახული თეო-ფანის აღნერილობისას დღეებით ძევლის ადგილსა-მყოფელად ასეთი მითითება შემოგვთავაზა: „... რომელი საყდართა ზედა აღმალლებულთა და აღმატებულთა მჯდო-მარე არს“. საქმე ისაა, რომ წარმოდგენილ განმარტებაში აღნესანდრიელი მღვდელომთმავრის მიერ მოტანილი საყ-დრის აღწერილობა: ამალლებული და აღმატებული (შდრ. „საყდართა ზედა აღმალლებულთა და აღმატებულთა“) არ გხვდება დანიელის წიგნში. მართალია, ხსენებული წი-ნასწარმეტყველი ტერმინს 『საყდარი』 ორჯერ იმოჩებს, თუმცა ორივეგზის ათანასეული განსაზღვრების გა-რეშე: „და ვხედევდ მე ვიღრემდის საყდარი დაიდგნეს და ძული იგი დღეთად დაჯდა. სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი, და თმაა თავისა მისისა, ვითარცა მატყლი წმიდავ, და საყდარი მისი, ვითარცა ალი ცეცხ-ლისა, და ეტლისოთუალნი მისნი ცეცხლებრ შემწუველ“ (რან. 7.9).

მას, რა წყაროს ეფუძნება წმინდა მღვდელთმთავრი, როდესაც საკუთარ ჰომილიაში დღეებით ძველზე საუბრისას, მის საყდარს განუკუთვნებს დანიელ წინასწარმეტვე-ლის მიერ მოუხსენიებელ ტერმინებს: **ამაღლებული** და **აღ-მატებული?** პასუხი ესაიას წიგნშია დაცული. კერძოდ, საკუთარი მოწოდების შესახებ დიდი ოუდეველი მოსაგრე ასეთი შენაარსის თხრისას წარმოგედგენს: „და იყო, წელსა მას, რომელსა მოკუდა ოზია მეფეც, ვიზილე უფალი მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა, და სავსე იყო ჭადარი იგი დოლებითა „უფლისათა“ (ეს. 6.1).

ამდენად, დამობნებულ ჰომილიაში ლირის ათანასე მაცხოვრის (ძე ლმერთის) შობის შესახებ საუბრობს და **მის** ძევლალთქმისეულ წინამოსწავებად, ერთი მხრივ, დანიელის თეოფანიაში აღნერილ დღეებით ძევლს, ხოლო მეორე მხრივ, ესაიას მეექვსე თავის შესაბამის უწყებას მიზნებს და ერთმანეთთან აიგვიებს ორი იუდეველი მოღვაწის წინაშე წარმოჩენილ უზენაესს, რომელიც ესაიას თანახმად, «**მაღალ და აღმატებულ**» საყდარზე იყო დაპრანებული, ხოლო დანიელის მიხედვით, «**ძევლი დღეთა**» იხილვებოდა. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ესაიას მიერ დანახული უფალი, საეკლესიო განმარტებების მიხედვით, ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასია (შდრ. „**და საყდარი ესე ჭორციელად მოსლვადმდე მაცხოვრისა იხილა ესაია წინაწარმეტყუელმან და იტყებს:** «ვიხილე უფალი, მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა» (ეს. 6.1) და შემდეგი ამისი. მამა არავინ იხილა, ხოლო რომელი-იგი წინაწარმეტყუელმან იხილა მა-

**შინ, ძლი იყო**; სინური მრავალთავი, „თქმელი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუქუნისა კვრილე მთავარების კუპონისას იერუსალიმელისა, აღდგომისათვს მუზდრეთით უფლის ჩუქუნისა იქსუ ქრისტესა“, გვ. 168) და, იმავდროულად წმინდა ათანასეს სიტყვებს გავიმეორებთ, რომლი მიხედვითაც დღეებით ძველი ძე ღმერთის (და არა მამი გვამორნების) იღუმალებას გვიცხადებს, გასაგები ხდებოთ რატომ გაერთიანა სესენებულმა ალექსანდრიელმ მღვდელოთმთავარმა სხვადასხვა წინასწარმეტყველის (ეს აისა და დანიელის) წინაშე გაცხადებული თეოფანიები შინაარსი, როდესაც ასეთი სიტყვები წარმოიტევა: „**ძული იგი დღეთა** (შდრ. და6. 7.13), დაუსაბამო დღეს იშვების ყრ მაღ; რომელი საყდართა ზედა აღმაღლებულთა და აღმატებულთა მჯდომარე არს (შდრ. ეს. 6.1), ბაგასა შინა დაიწვინა“.

ყურადღება იმასაც მივაქციოთ, რომ წმინდა კირილ ალექსანდრიელის ზემოდამონბებულ განმარტებაში ხაზ გასმითაა მითითებული სახარებისეული მოძღვრება მამი პირის უხილავობისა (შდრ. წოან. 6.46]: „**არა თუ მამა ვი უხილავს**, არამედ რომელი-იგი არს ღმრთისაგან, ამა იხილა მამა“) და ესაიას მიერ საკუთრივ ძე ღმერთის განჭვრეტის თაობაზე სწავლება (შდრ. „**მამა არავინ იხილა ხოლო რომელი-იგი წინასწარმეტყველმან იხილა მამინ, მთიყო**“).

რაც შეეხება წმინდა იპოლიტე რომაელის უწყვეტობაზე

ბას, რომ «ძუელი დღეთა» მამა ღმერთის პირია, უაღრესად საგულისხმოა, რომ ხსენებული მოსაგრე თავადვე განვეისაზღრავს ზემოთ დამოწმებული ნაშრომის და საწყის ნაწილში, თუ ვინ ნარმოუჩნდებოდა ძევლი აღთვალის მის მართალ უზენაესის გამოცხადებებისას: „ვითარცუ იგი რომელ წინა-ვე ნეტართა მათ წინასწარმეტყუელთ გამოცხადა ღმრთისა იგი სიტყუად, რომელი იგი დასაბამითოა სიტყუადი იყო, ხოლო ან ჩიუნოჟს კაცად-ცა ქუეყანასა ზედა გამოჩნდა, გამოგიცხადეს შენ ამას, რომ ლისა მის მიერ ლოცვის-ყოფითა წარწევნად წადიერ ვარ გამოძიებად“ (შატბერძის კრებული, „თქუმული წიგნთა გან შეიდათა ქრისტესთვა და ანტეკრისტესთვა“, გვ. 270).

ტყვა ეზრახებოდა. შესაბამისად, ზემოდამონშებულ საეკლესიო წყაროების შეჯვრების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა იპოლიტეს მიერ იმავე ნაშრომში გამოითქმული განსახავებული განმარტება თუ ღირსებიფანე კვიპრელის ანალოგიური მოსაზრება მხოლოდ და მხოლოდ მათი კერძო აზრია და არაანირად არ არის შეკცემა არებული საეკლესიო ეგზიგოტიკაში, რასაც უნათლესა ცხადყოფს ზემომხმბობილი პატრისტიკული ტექსტები და წმინდა ათანასე ალექსანდრიელის შემდეგი სიტყვები „ძუელი იგი დღეთა, დაუსაბამო დღეს იშვების ყრმად“.

ალნიშულის დასტურად კიდევ ერთ წყაროს წარმოვადგენთ. კერძოდ, ესაა მირქმის დღესასწაულისადმი მიძღვნილი წმინდა მეთოდი პატრიარქის ჰიმილია, რომელიც ხსენებული საკითხის შესახებ შემდეგს გვამცნობს „ესევითართა სიტყუათა მიერ კადნიერ იქმნა მართალი იგ (სვიმეონ მიმრებელი; ი. მ.) და მორჩილ ექმნა ბრძანებას დედისა ღმრთისასა და მსახურ წოდებასა მისას, რომელიყო მსახურ ღმრთისა კაცთა მომართ გარდამოსლვისა და ესრეთ დასუელებულთა მათ წიალთა მისთა მიიქუა სიჩრიობასა შინა მყოფი იგი ძუელი დღეთამ, აკურთხევდა ღმერთსა და ოქუა..“ (ენრიკო გაბიძაშვილი, თებერვლის თვის ჰელიოგრაფულ-ჰიმილებიკურ საკითხეთა უზინალურ კრებული (ქუთ. 1-ის I ნახ., XVI ს.), გამოკვლეული, ტექსტები და საძიებლები, თბილისი, 2016, „მიგებებისათვეს უფლის ჩუქუნისა იუსუ ქრისტესასა თქუმული მეთოდი ეპისკოპოსისა და მონამისად სიტყუა სვემონისთვეს და ანნასა და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა“, გვ. 134).

შმინდა მეთოდი პატრელის თანახმად, იერუსალიმი  
ტაძარში მართალი სვამეონის მიერ მირქმული ყრმა იეს  
ქრიზე სწორედ ის ღმერთია, რომელსაც წერილმა სინ  
ტაგმური ტერმინი - «დღებით ძველი» განუკუთვნა, რით  
აც დიდი პატრელი მღვდელმთავარი, მსგავსად დირს  
ათანასე ალექსანდრიელისა, ზემოგანხილული საკითხი  
საუკლესო განმარტებას გვთავაზოს: ძველი ალთქმი  
თეოფანიაში იუდეველ წინასარმეტყველს არა მამის ჰი  
პოსტასი, არამედ საკუთრივ ეს ღმერთის პირი განცხადა

ვფერობთ, დანიელის ზემოხსენებულ გამოცხადებაში განვიტოლი «ძუელი დღეთ» ქე ღმერთად არის აღმული კიდევ ერთი საეკლესიო ავტორის, კერძოდ, სეკურიანე გაბალონელის მიერ. საქმე ისაა, რომ «უდაბნოს მრავალთაგში» დაცულია დაზიანების შედეგად ნაკლული ტექსტი (დასაწყისისა და დასასრულის გარეშე), რომელშიც ერთგან ვკითხულობთ: „და კუალად დანიელი იტყვას ძისათვეს: «ვებედევდ და აპა ესერა ლრუბელთა ზედა ცისათა მოვიღოდა ვითარცა აშე კაცისა და მოინა ვიღორე ძუელისა მის დღეთა სა, და მას მიეცა პატივი და ჭელმწიფება, და სულევა მისი - სულევა საუკუნე, და ჭელმწიფება მისი თესლითი თესლადმდე, რომელი არასადა წარვალს“ (დან. 7. 13-14)“ (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, უდაბნოს მრავალთაგი, აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმ-ნაიმვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1994, სეტერიანოს გაბალონელი, „შესხმისათვეს ყრმათადასა“, გვ. 157).

ყურადღება მივაკციოთ სიტყვებს: „და კუალად დანიულ იტყვს ძისათვა“ მართალია, აღნიშნილ უწყებას იქვე მოჰყვება წინასწარმეტყველის წიგნის შესაბამისი ადგილის ციტირება, რომელმიც ეკ კაცისას გამოჩენის შესახებაა უწყება (მდრ. „ვხედვედ და აპა ესერა ლრუბელთაზედა ცისათა მოვიღოდა ვითარცა ძც კაცისა“), თუმცა იგივე ტექსტის გაგრძელება სწორედ დღეებით ძველის თაობაზე გვამცნობს (მდრ. „... და მოინია ვიღრე ძუელისა მის დღეთა სა“). ამდენად, თუკი ღირსი მღვდელოთმთავარი აღნიშნულ თეოფანიაში ყოვლადწმინდა სამების სხვადასხვა პიპლატასს (მამისა და ძის პირებს) მოიაზრებდა, ლოგიკური იქნებოდა, ამის შესახებ უწყებინა მკითხველისთვის, მაგრამ ვინაიდან მხოლოდ ერთი შეფასება წარმოგვიდგინა (შდრ. „და კუალად დანიულ იტყვს ძისათვა“, რასაც ორი მოვლენის აღწრილობა მოსდევს (ე. ი. წინასწარმეტყველის თხრობა, ერთი მხრივ, „ეკ კაცისას შესახებ და, მეორე მხრივ, «ძუელი დღეთას» თაობაზე), სწორედ ორივე მათგანს უნდა მიემართობოდეს გაბალის ეკლესიის წინამდღოლის მიერ წარმოთქმული ზემორე განზოგადებული შეფასება: „და კუალად დანიული იტყვს ძისათვა“.

ნინამდებარე პუბლიკაციის დასასრულს წმინდა  
დიონისე არეოპაგელის შესაბამის სწავლებას დავი-  
მოწმებთ, რომელშიც ხსენებული ათენელი მღვდელ-  
თმთავარი დანიელ ნინასნარმეტყველის (და, ზოგა-  
დად, ძველაღთქმისეულ) გამოცხადებებს ეხმიანება და  
უაღრესად საყურადღებო განმარტებას გვთავაზობს:  
„ხოლო ძუელად დღეთა იგალლობების ლმერთი ყოველთა  
ამათ მისდად ყოფისათვის, ესე იგი არიან: საუკუნე და  
უამი და პირველ დღეთაობა და პირველ უამთა და საუ-  
კუნეთაობა. დაღაცათუ წელიწადი და დღე და უამი და  
საუკუნე ლმრთივ შუენიერად ითქვემან მისთვე, ვითარ-  
იგი არს ყოველსავე მოძრავობასა შინა უცვალებელი  
და შეურყყველი და სამარადისოსა ძრვასა შინა მარადის  
თავსა თვისავე შინა ჰეგის და ვითარცა მიზეზისათვს  
უამისა და დღეთა და საუკუნო სა. ვინა ცა წმინდათა მათ  
შინა საიდუმლო სა ხედვისა ლმრთის გამოცხადებათა  
მქონვანადცა და ჭაბუკადცა აზმნობს შეცვალებასა: სი-  
ბერითა უკუუ პირველველითგანობასა და დაუწყებელო-  
ბასა მოასწავებს, ხოლო სიჭაბუკითა დაუბერებელობასა;  
და ზოგად ორითავე სიბერითაცა და სიჭაბუკითა, დასა-  
ბამითგან და ვიდრე დასასრულამდე თვისსა მას ყოველთა  
მიმართსა ნინა-გამომავლობასა გუასნავებს. ანუ თუ ვი-  
თარცა სალმრთო იგი ჩუენი მღდელთ-სრულ-მყოფელი  
იტყვის (გულისხმება წმინდა დიონისეს მოძღვარი - იერო-  
სოფისი; ი. მ.), ორ-კერძო თავე მით ლმრთისა პირველით-  
განობა საცნაურ იქმნების - მოხუცებულებითა უკუუ  
უპირატესობა უამთა, ხოლო სიჭაბუკითა მქონებელობა  
რიცხვსა ზედა უდასაბამირესობისა; ვინა თოგან ერთ-  
საცა ფრიადი რა მე უდასაბამირესობა აქეს ერთისაგან  
მრავლად განმავალთა მათ რიცხუთა“ (პეტრე იბერი-  
ელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები; თარგმ.  
ეფრემ მცირისა. ს. ენუქქშვილის გამოც. თბილისი,  
1961. ს. 107-108. სამარადისა და 85).

0613300064001

რედაქტორი – გივი შეყილაძე

ოკეანეური – გრიგ შეკოლია  
მოადგილები – ასმათ ჯორია, დეკანოზი იოანე ბარეალი  
პასუხისმგებელი მდივანი – სალომე გოგინაშვილი  
კორესპონდენტები – ხათუნა პატაშური, თამთა გრიგალ  
კომიტეტერული უზრუნველყოფა – თამთა გრიგალაშვილი  
სარედაციო კოლეგია: დეკანოზი მაქსიმე ჭავჭავაძე, დეკან  
ედისტერ ქელოძე, სერგო ვარდოსანიძე, ნინო მელიქიშვილი,  
ჩიძე, შორეუნა ფარექმაძე, თამთა ფარულავა.